ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

1977
ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ
7
ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ
№ 209
(16949)
ᲤᲐᲡᲘ
2 ᲙᲐᲞ
1977

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ—

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲣᲜᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ! რა ამაყად ჟღერს! ა. მ. გორკის უდიდესი ჰუმანიზმით აღსავსე ეს სიტყვები სკოლის მერხიდანვე იცის ყველამ. მაგრამ არასოდეს ისე ამაყად და შთაგონებულად არ აჟღერებულა, როგორც ახლა, ჩვენს დროში. არასოდეს და არსად არ ყოფილა ადამიანი ისე წარმოჩენილი, ისე პატივცემული, როგორც ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, მოძმეობული, განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში.

სწორედ იგი, საბჭოთა ადამიანია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იმ მონაპოვართა შორის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რომ მოვნიაგრეთ დიდი ოქტომბრის შემდეგ განვლილი ექვსი ათეული წლის მანძილზე; ადამიანი, რომელმაც, როგორც სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა, მოიპოვა თავისუფლება და შეძლო მისი დაცვა უძნელეს ბრძოლებში; ადამიანი, რომელიც მომავლს აშენებდა, ძალ-ღონეს არ ზოგავდა და არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა; ადამიანი, რომელმაც ყველა განსაცდელს გაუძლო და თვითონაც უმაგალითოდ შეიცვალა; ადამიანი, რომელშიც შერწყმულია იდეური მოწმანი და უზარმაზარი სახიცოცხლო ენერგია, კულტურა, ცოდნა და მათი გამოყენების უნარი, მგზნებარე პატრიოტიზმი და თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმი.

ისტორიას ახსოვს ბევრი დიდი ჰუმანისტი რევოლუციონერი, მოაზროვნე, რომლებიც ჩაგვრისა და მონობისაგან ადამიანის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ და სამართლიან საზოგადოებრივ წყობილებაზე ოცნებობდნენ. და მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, კაცობრობას „აუცილებლობის სამყაროდან თავისუფლების სამყაროსკენ“ რომ გაუკვალა გზა, რევოლუციის ბელადმა დიდმა ლენინმა და მის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ გადაქცეს ჰუმანისტური იდეალები რეალურ ხინამდვილედ და ჰუმანისტური აზრით აღავსეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო.

„სოციალიზმი ყველაზე ჰუმანური, ყველაზე დემოკრატიული საზოგადოებრივი წყობილებაა იმ წყობილებათა შორის, რომლებსაც იცნობს ისტორია,—ამბობს ლ. ი. ბრეჟნევი, — მთელ მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს იგი ფართოდ აყენებს ადამიანის სამსახურში, მისი განვითარების, მისი კეთილდღეობის სამსახურში“. ამ სიტყვების ღრმა აზრს შეიცავს თითოეული კარი, თითოეული თავი, თითოეული მუხლი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტისა, რომელშიც ხორცშესხმულია კაცობრიობის ყველაზე ამაღლებული იდეალები და რომელიც მთელმა ხალხმა მოიწონა. პროექტში განვითარებული და სრულქმნილია საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა დებულებანი, დამკვიდრებულია კანონის წინაშე ადამიანთა თანასწორობის ზოგადი პრინციპი, მათ შორის ყოველგვარ განსხვავებათა მიუხედავად. და ეს თანასწორუფლებიანობა, პოლიტიკური თავისუფლებები უზრუნველყოფილი და გარანტირებულია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

ჰუმანისტური მიმართულება ახასიათებს კომუნისტური პარტიის მთელ მოღვაწეობას, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. გავიხსენოთ: პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების საფუძველი იყო და ყრილობის მთელი მუშაობის ცენტრში იდგა კომუნიზმის მშენებელი ადამიანი, მისი ცხოვრება, მისი ფიქრები და მისწრაფებანი, მისი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი. ჩვენი ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ყოველდღიური მჩქეფარე, მრავალმხრივი მოღვაწეობა მთელ მსოფლიოს უჩვენებს იმ ნამდვილი ჰუმანიზმის მაღალ ნიმუშს, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა, ადამიანის კეთილდღეობისათვის, მისი ყოვლმხრივი განვითარებისათვის ზრუნვა.

სწორედ ამით, ადამიანისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამი დადგენილებაც საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზეა მიღებული და უდიდესი ზემოქმედება მოახდინა რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე. უწინარეს ყოვლისა საქმე ეხება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე. დადგენილებაში ღრმად პრინციპული პოზიციებიდან იყო გამოვლენილი რესპუბლიკის ეკონომიკასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული დიდი ნაკლოვანებანი და განსაზღვრა იმ სერიოზული ჩამორჩენის დაძლევის პრაქტიკული გზები, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე შეიქმნა. მაგრამ რას ნიშნავს სამეურნეო და კულტურული განვითარებაში ჩამორჩენის დაძლევა? ეს უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ უკეთესი პირობები შევუქმნათ ადამიანს, მის ეფექტიან და შთაგონებულ შრომას, პარმონიულ განვითარებას, მისი ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლებას, მისი კულტურული, სულიერი მოთხოვნილებების უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

ამავე სულისკვეთებით არის გამსჭვალული ორი სხვა დოკუმენტიც: სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, რომელმაც რესპუბლიკის ეკონომიკის მკვეთრი აღმავლობის ამოცანის განხორციელების მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეუქმნა. და, ბოლოს, 1976 წლის ივნისში მიღებული გადაწყვეტილება, რომელშიც სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს და იწონებს იმ პოზიციურ პროცესებს, საქართველოს კომპარტიასა და მთელ რესპუბლიკაში რომ მიმდინარეობს თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ბოლო წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა პრინციპული მნიშვნელობის ღონისძიებათა კომპლექსი განახორციელეს ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მათი მიზანია: ავამაღლოთ რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი, დავძლიოთ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო მაჩვენებლების მიხედვით საერთოდ საკავშირო დონისაგან მისი ხანგრძლივი ჩამორჩენა. ამის მისაღწევად უნდა გავაუმჯობესოთ მუშაობა კადრებთან, ავამაღლოთ მახების აქტიურობა და ინიციატივა, განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინა, სრულყოთ კომუნისტური აღზრდის ყველა მხარე, დავამკვიდროთ მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპები, გავაძლიეროთ ბრძოლა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების, კერძოსეკაურობისა და ტენდენციების, სოციალისტური საკუთრების დაცვებისა და მექრთამეობის წინააღმდეგ. მიღებულია და განხორციელად სრულდება ჩვენი გადაწყვეტილებანი პროტექციონიზმის ხადა მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის, წამატებებისა და თვალის ახვევის ფაქტების ლიკვიდაციის ღონისძიებების, სახელმწიფო დისციპლინის დაცვისათვის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ. ყველა მომხდარ ცვლილებაში დიდი როლი შეასრულეს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებმა, პარტიული აქტივის კრებებმა, რომლებიც, საერთო აღიარებით, გამოირჩეოდა საქმიანი ვითარებით, გულახდილი მსჯელობითა და პრინციპული შეფასებებით.

ღონისძიებათა მთელი კომპლექსის თანამიმდევრული განხორციელების შედეგად მკვეთრ გარდატეხას მივაღწიეთ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში. თუ იმ დროისათვის, როცა მიღებული იყო დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, საქართველოს ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეკავა ქვეყანაში ბევრი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლით და მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგების მიხედვით მთლიანად მის დავალებებს ფაქტიურად ჩაშლის საფრთხე შეექმნა, მომდევნო სამი წლის მანძილზე მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და ხუთწლიანი გეგმა წარმატებით შესრულდა, თითქმის ოთხჯერ დაჩქარდა სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი და შრომის ნაყოფიერების მატების საშუალოწლიური ტემპი. სამრეწველო წარმოების მოცულობა ხუთწლედის დამლევისათვის გაიზარდა არა 39 პროცენტით, როგორც დირექტივებით იყო გათვალისწინებული, არამედ 40,1 პროცენტით. ხუთწლიანი დავალების გადაჭარბებით 220 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია მიეყიდა სახელმწიფოს, დაჩქარებული ტემპით შენდებოდა მხუბუქი და კვების მრეწველობის ობიექტები, სკოლები და საცხოვრებელი სახლები.

ეკონომიკის პროგრესისადმი ჩვენი მიდგომის პრინციპული თავისებურება ის არის, რომ რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის ასამაღლებლად, საკავშირო ეკონომიკური ყულაბაში მისი წვლილის გასაადიდებლად პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური გულმოდგინე ზეშუამბა ორგანულად ერწყმის განუწყვეტელ ზრუნვას ადამიანისათვის, მისი მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის. 1976 წელს, მაგალითად, 1970 წელთან შედარებით სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ბაჟონელბრუნვა რესპუბლიკაში გაიზარდა თითქმის 1,5-ჯერ, დახმარება და შეღავათები, რომლებიც მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო, 1,4-ჯერ, ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი კი თითქმის 1,3-ჯერ გადიდდა.

ჰუმანიზმი სისხლხორცეულად ახასიათებს სოციალიზმს. მისი მთავარი ღირებულება მშრომელი ადამიანია. ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის, ყველაფერი ადამიანისათვის — ეს არის ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესის უღრმესი აზრი. სოციალიზმი განადიდებს ადამიანს. მაგრამ არაფერი ისე არ ამაღლებს პიროვნებას, აღინიშნა პარტიის XXV ყრილობაზე, როგორც აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულება. შეიმუშაონ ასეთი პოზიცია, გაძლიერონ ადამიანის ზნეობრივი აღზრდა — აი რა მიაჩნიათ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად.

ჩვენ ვცდილობთ ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად განუწყვეტელ მაღლდებოდეს მისი იდეურ-ზნეობრივი და კულტურული დონე. თორემ, როგორც პარტია გვაფრთხილებს, შეიძლება მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგია ავაღორძინოთ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1976 წლის ივნისის დადგენილებაში აღნიშნა, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მზანდასახული მუშაობა გასწია მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის, რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მაღალი იდეური და ზნეობრივი პრინციპების დასამკვიდრებლად. ამ მაღალმა შეფასებამ აღგვაფრთოვანა ყველანი, კომუნისტები და უპარტიოები, დაგვარწმუნა, რომ სწორად გვესმის პარტიის მითითებანი, რომ მისი ლენინური კურსის შესაბამისად ვმოქმედებთ. მკაცრად, თვითკრიტიკულად ვაანალიზებთ ყველაფერს, რაც განვლილი წლის მანძილზე გაკეთებულა. ამასთან რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა მშრომელს კარგად აქვთ შეგნებული, რომ მიღწეული მხოლოდ დასაბამია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც კვლავაც უნდა ვაწარმოოთ ადამიანის იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდისათვის.

ამიტომ ჩვენ ფრიად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ორ დოკუმენტს, რომლებსაც ახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ვამზადებთ, და მათ მომზადებასთან დაკავშირებულ დიდ კვლევითს, ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას. ეს არის დადგენილებანი კერძოსეკაურული ტენდენციებისა და მშრომელთა საჭიროებისა და მოთხოვნილებებისადმი ბიუროკრატიული დამოკიდებულების გამოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მათი საჭიროება უდავოა. ფაქტები მოწმობს, რომ ბევრი საკითხი ჩვენში ადგილებზე ბოლომდე ვერ წყდება. მაგალითად, ასიდან 92 შემთხვევაში მშრომელები საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართავენ იხეთი საქმეების გამო, რომლებიც ადგილობრივ ორგანოებში უნდა მოგვარდეს.

მუშაკებს, რომლებიც თავს არიდებენ საკითხების გადაწყვეტას და პირად პასუხისმგებლობას, არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, "წესრიგისათვის მოვუწოდებთ. ჩვენ საგანგებოდ განვიხილავთ და უყოყმანოდ ვგმობთ ჯერ კიდევ არსებულ ფაქტებს, როცა თანამდებობის პირები უგულებელყოფენ ადამიანის კანონიერ უფლებებს, ივიწყებენ მის ინტერესებს, არ ზრუნავენ მშრომელთა საარსებო საჭიროებებისათვის, სწორად არ რეაგირებენ კრიტიკაზე.

ამასთანავე, როცა ვზრუნავთ პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, როცა ვიცავთ ადამიანს უფლებებსა და თავისუფლებებს, უნდა ვიღვწოდეთ, რომ ყველა მოქალაქე ასრულებდეს თავის მოვალეობას საზოგადოების წინაშე. ვ. ი. ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, ზნეობრივია, მაშასადამე, ჰუმანურია, მაშასადამე, დემოკრატიული, ყოველივე ის, რაც ხალხის ინტერესებს, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს, საბჭოთა ადამიანის კომუნისტური აღზრდის ინტერესებს ემსახურება. სკკპ XXV ყრილობაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ სწორედ თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლური მიდგომა საკუთარი მოვალეობისადმი, ხალხის ინტერესებისადმი უმნინის ერთადერთ საიმედო ბაზად იმას, რომ რაც შეიძლება სრულად შევახსოთ ხორცი სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპებს, უზრუნველვყოთ პიროვნების ეშენებარეობა თავისუფლება, მისი ჰარმონიული განვითარება, რაც შესაძლებელია მხოლოდ ჩვენს დიდად ორგანიზებულ, დიდად დისციპლინიან და მონოლითურად შეკავშირებულ საზოგადოებაში.

როცა მოქალაქეთა უფლებების, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების დაცვისათვის ზრუნავს, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას. ჩვენთან ყოველდღიურ ცხოვრებაში ნოყიერ ფიფი ცნებად — „დისციპლინის სტატისტიკა“. აი რას გვეუბნება ეს სტატისტიკა. 1972-1976 წლებში არსაპატიო მიზეზით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგები მრეწველობაში შემცირდა 29 პროცენტით, სამშენებლო ორგანიზაციებში—37, საავტომობილო ტრანსპორტზე — 20 პროცენტით, ხოლო იმ საწარმოთა რიცხვმა, რომლებიც ჩამორჩებოდნენ პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების მხრივ, 1972 წლის 260-დან 1977 წლის პირველ ნახევარში შვიდამდე იკლო. განმტკიცდა შრომის დისციპლინა სოფლის მეურნეობაშიც.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ მოქალაქეების უფლება-მოვალეობათა ერთიანობა ახალი კონსტიტუციის პროექტის დამახასიათებელი ნიშანია. მათ დიდ აღშფოთებას იწვევს, როცა იმპერიალისტური ბანაკის იდეოლოგები და პოლიტიკოსები ფარიფეულურად ღაღადებენ ჰუმანიზმზე, როცა ცილს სწამებენ საბჭოთა კავშირს და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს, ჩვენი ცხოვრების წესს. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, თუ რა დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან ის, რასაც კაპიტალისტური ქვეყნების კონსტიტუციები აცხადებენ, და ის, რაც სინამდვილეში ხდება. აბა როგორ ამოიღებათ ხმა რაიმე ჰუმანიზმზე, რაიმე უფლებებზე, თუ იქ ადამიანი არსებითად მოკლებულია თვით ისეთ უპირველეს უფლებას, როგორიც არის შრომის უფლება და, მაშასადამე, ადამიანის შესაფერისი ცხოვრების უფლება, ამის დადასტურებაა მილიონობით უმუშევარი.

იმ „თავისუფლებათა“ შორის, რომლებსაც ბურჟუაზიული კონსტიტუციები აცხადებენ, წინა პლანზე დგას წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების თავისუფლება. წარმოების საშუალებათა საკუთრების უფლება ლოგიკურად ამკვიდრებს მეორე უფლებას — ადამიანის ექსპლოატაციის უფლებას, ხვნისი შრომით გამდიდრების უფლებას, უუფლებობისა და გაჭირვებისათვის მშრომელთა განწირვის უფლებას. ამიტომ არის ღრმა კლასობრივი უფსკრული ექსპლოატატორსა და ექსპლოატირებულს შორის, აქედან გამომდინარეობს მორალი — ადამიანი ადამიანისათვის მგელია. და რაც უნდა გაჭაჭონ ბურჟუაზიის იდეოლოგები, ყველა ჭკვის შემთანხმებლები და ოპორტუნისტები, რომლებიც ცდილობენ ფერუმარულით შეალამაზონ კაპიტალისტური წყობილება, უფსკრული უფსკრულად რჩება, მგელი კი მგლობას არ მრიშლის.

საქართველოს კომუნისტება და ყველა მშრომელი, რომლებიც სწავლობენ და საქმიანად განიხილავენ თავიანთი სახელმწიფოს ძირითადი კანონის პროექტს, კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან ლენინური პარტიის გარშემო, რომლის მთელი საქმიანობის, მთელი მისწრაფების მიზანია ყველაფერი იღონოს ხალხის კეთილდღეობისათვის, ადამიანისათვის. ეს უმაღლესი და ჰუმანური მიზანი განუყრელად აკავშირებს პარტიას საბჭოთა ადამიანებთან, არნახულ შემოქმედებითს ენერგიას მატებს მახებს კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში:

Ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ,

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ.

Გ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

„ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“, 1977 ᲬᲚᲘᲡ 6/IX.

ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘ

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲜᲐᲚᲓᲔᲡ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ. (ᲡᲐᲥ. ᲘᲜᲤ). ას ოცი ათასი მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეტებით! — ასეთი ვალდებულება იკისრა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა. და აი 8 თვის შედეგების შეჯამებისას გამოირკვა, რომ მან ეს ვალდებულება უკვე პირნათლად გაანაღდა.

წარმატებით არის შესრულებული თვითღირებულების შემცირების ვალდებულებაც — 20 ათასი მანეთის ნაცვლად გაწეულია 30 ათასი მანეთის ეკონომია. მეცემენტეები ახლა იმისთვის იბრძვიან, რომ ვადამდე გაანაღდონ საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულების დანარჩენი პუნქტებიც.

წლის განვლილ პერიოდში ზეგეგმით რეალიზებულია 95 ათასი მანეთის ცემენტი, ხოლო მარტო აგვისტოში 15 ათასი მანეთისა. სასაქონლო პროდუქციის 8 თვის დავალება აქ 101,4 პროცენტით შესრულეს და დაზოგეს დიდი რაოდენობით დიზელმატი და კირქვა.

რუსთაველმა მეცემენტეებმა წლეულს რესპუბლიკაში პირველებმა აიღეს ვალი „მე-500“ მარკის სწრაფმყარებადი ცემენტის გამოშვება. აქაურ პროდუქციას ცემენტს „ოგცს“, რომელსაც ინგურჰესის მშენებლობაზე იყენებენ, ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს მინიჭებული.

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ რაიონის მშრომელებმა პირობა ვადამდე შესასრულეს, წლიური გეგმით გათვალისწინებული 4.060 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 4.206 ტონა კურკოვანი ხილი.

ხილის დამზადება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა გრძელდება — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ქარქლის რაკომის პირველმა მდივანმა პ. ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, რაიხაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ᲑᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲕᲐᲠᲗ, ᲛᲔᲭᲐᲘᲝᲔᲑᲝ!

ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, კარგი მეზობელი გზის მანათობელი შუქურაა. ასე ითქმის ჩვენს სახელოვან მეჩაიეებზე, რომლებიც საიუბილეო წელს სარეკორდო მოსავლისათვის — 400 000 ტონა ჩაისათვის იბრძვიან და, როგორც უკანასკნელი ცნობებიდან ვიცით, მალე ალბათ სიტყვას სიქმედ აქცევენ.

„ჩვენ, მეჩაიეები, დარწმუნებული ვართ, რომ თქვენთან, მეგობრებთან, ერთად ვუპატიჟებთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, ხალხს სახელმწიფოსათვის 500.000 ტონა ყურძნის და 400.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღიდგის საიუბილეო ვალდებულებათა შესრულებას“. — ასე მოაგონდება კოლექტიური წერილი, რომელსაც ეფიქსმეტი გამოჩენილი მეჩაიე აწერს ხელს და, რომელსაც გზავნ „კომუნისტის“ ფურცლებზე ვალდებულებით დანარჩენი პუნქტებიც.

წლის განვლილ პერიოდში ზეგეგმით რეალიზებულია 95 ათასი მანეთის ცემენტი, ხოლო მარტო აგვისტოში 15 ათასი მანეთისა. სასაქონლო პროდუქციის 8 თვის დავალება აქ 101,4 პროცენტით შესრულეს და დაზოგეს დიდი რაოდენობით დიზელმატი და კირქვა.

რუსთაველმა მეცემენტეებმა წლეულს რესპუბლიკაში პირველებმა აიღეს „მე-500“ მარკის სწრაფმყარებადი ცემენტის გამოშვება. აქაურ პროდუქციას ცემენტს „ოგცს“, რომელსაც ინგურჰესის მშენებლობაზე იყენებენ, ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს მინიჭებული.

ᲓᲐᲠᲬᲐᲖᲝᲑᲐ ᲞᲠᲝᲛᲛᲚᲨᲘ

5 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲩᲘᲠᲘ კავშირის მეინერთა საბჭოს ბიუროს მარეგ[illegible] [illegible] ᲛᲘᲘᲦᲝ [illegible] ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ [illegible] ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ, რომელიც საბჭოთა კავშირში საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის მოწვევით ჩამოვიდა.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ

5 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ კ. ვალდაიმი ლენინის გორაზე ეწვია მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ამ უმაღლესი სასწავლებლის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ი. მ. სერგეევმა კ. ვალდაიმს სახეიმო ვითარებაში გადასცა დიპლომი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო მეცნიერებათა დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით გერმანიაში მოღვაწე ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ეს წოდება მიენიჭა საერთაშორისო თანამშრომლობის დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისა და ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განსამტკიცებლად აქტიური ბრძოლისათვის.

კ. ვალდაიმი ესტუმრა მოსკოვის აკადემიურ ქორეოგრაფიულ სასწავლებელს.

საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობი საბჭოთა ასოციაციის წევრებს. მას მიესალმა ასოციაციის პრეზიდენტი აკადემიკოსი თ. ვ. კონსტანტინოვი. საპასუხო სიტყვაში კ. ვალდაიმმა საგანგებოდ აღნიშნა მხარეების, რომელსაც საბჭოთა მთავრობა, პრესა და საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი ორგანიზაციები უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

□

6 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ საუბარს განაგრძობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კურტ ვალდჰაიმი, რომელიც ეხეტით იმყოფება სსრ კავშირში. განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განვითარებისა და გაღრმავების, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღების, მსოფლიოში კონფლიქტური სიტუაციების ლიკვიდაციის საქმეში. (საკ. ინფ.).

500-000 ᲢᲝᲜᲐ ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ — ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲛᲐᲠᲐᲜᲨᲘ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲗᲕᲔᲚᲘ



ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ

ᲫᲚᲐᲡ ᲒᲕᲛᲐᲬᲔᲑᲡ, ᲒᲕᲐᲛᲮᲜᲔᲕᲔᲑᲡ

ᲬᲔᲚᲘ ამინდებმა როდი გაგვანებივრა. ჯერ იყო გაოთვალებელმა წვიმებმა შეგვაშეშა და მერე პაპანაქების სიცხემ. მაგრამ ბოლების ალარსებს ვინ დაემორჩილება, პირიქით — მოვთოკეთ. ახლა იყო საჭირო გმირული შრომა და შემართება და ორე თვალი დაგვიზოგავს, თითოეული ვაზს მართლაც ვშვილივით მოვფერეთ, რომ მავნებელი არ შეაროდა და ახლა დიდი შრომის ნაყოფი კარზეა. რთველია, დიდი რთველი ჩვენს ზვრიებში! დამკარახილი ყურძენი ყველა გამრჯე ხელს უხმობს, ჩვენც ეფერგიას როგორ დაეშურეთ! ვარეთ ყურძენს მთელი დღე, თუ საჭიროა ბაზდა, ყოველგვარ ამინდშიც მოვკრეფთ.

ვიცით, მეჩაიეებსაც ჩვენსავით დიდი შრომა აქვთ გაწეული 400.000 ტონა ჩაისათვის. ჩაის ფოთოლიც და ყურძენიც დიდი ბარიის ნაყოფია. ქართული ჩაისა და ღვინის სახელიც შორს არის გასულა.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲚᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲡᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲢᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲠᲔᲑᲐᲡ, რომ თქვენ ფიქრობთ ჩვენზე და ზრუნავთ ჩვენი მოსავლის ბედზე. თქვენი სიტყვა ძალას გვმატებს. იმედს არ გავიმეტებთ. რთველ მოკლე დროში დავამთავრებთ. საქართველოს მეგვანახვეები შეასრულებენ პირობას — სამშობლოს მისცემენ 500.000 ტონა ყურძენს. ამ დიდ საქმეში ჩემი ბრიგადის წევრეიც იქნება. ჰექტარზე 140 ცენტნერ ყურძენს მოვკრეფთ, ე. ი. სამშობლოს მივყიდით 3.640 ცენტნერს — შარშანდელზე 364 ცენტნერით მეტს.

გარდა ამისა, საკარმიდამო ნაკვეთების ყურძენსაც მთლიანად სახელმწიფოს მივყიდით. ეს იქნება ჩვენი ნობათი ოქტომბრის დღესასწაულისათვის.

**

ჩვენი ცხოვრების პირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

სწავლულთა სოფელი

ინფორმაციაზე

გავაცნოთ ყველას და თითოეულს

ლენინის რაიონის სოფელ ბოდბისხევის მცხოვრებლებმა გულითადად მიუღიცავს თავისი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ბ.ბ.ირბი ბელაშვილს მეცხვარეობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების თემაზე საკანდიდატო დისერტაციის წარმატებით დაცვა.

ყოფილი მოჯამაგირის შვილმა, განათლებით ზოოტექნიკოსმა გ. ბელაშვილმა დიდი კვლევითი მუშაობა ჩაატარა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში, კოლმეურნეობის მიერ კარგი შედეგების მიღწევაში.

სხვათა შორის, ამ სოფელში სამეცნიერო ხარისხით ვერავის ვერ გაკვირვებ. ბოდბისხევს სამართლიანად უწოდებენ სწავლულთა სოფელს. ადგილობრივი მცხოვრებლები ხუმრობენ: „გახსენით აქ უმაღლესი სასწავლებელი და ჩვენ დავაკომპლექტებთ მას მასწავლებლებითო“.

საკოლმეურნეო წარმოების დარგების ყველა ხელმძღვანელსა და ბრიგადირს აქვს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი, თითქმის ყველა მექანიზატორი საშუალო განათლების მქონეა. თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ცხრა სტუდენტი კოლმეურნეობის სტიპენდიანტია.

სოფელში ამაყობენ თავიანთი თანამემამულეებით — ამყამად თვალსაჩინო მეცნიერებით. ამ სოფლის მკვიდრს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ალექსანდრ ზურაბაშვილის სახელობისა ადგილობრივი ნევროლოგიური საავადმყოფო, რომელიც თანასოფლელებს აჩუქა მან საქმეოქნოდ ცნობილმა მეცნიერმა, ბეტერევისა და თარხნიშვილის პრემიების ლაურეატმა, ჩვენს ქვეყანასა და საზღვარგარეთ გამოცემული მრავალი ნაშრომის ავტორმა.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობს 11 მეცნიერებათა დოქტორი და 37 მეცნიერებათა კანდიდატი — სოფელ ბოდბისხევის მკვიდრი.

(საქინფორმი).

საერთო-სახალხო

საერთო-სახალხო სახელმწიფოს პირობებში სოციალისტური დემოკრატიზმის განვითარებისა და გაღრმავების საფუძველზე ახალი კონსტიტუციის პროექტში დამკვიდრებული და ერთიან მწყობრ სისტემად ჩამოყალიბებულია საბჭოთა მოქალაქის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების და მოვალეობების თანთო წრე.

ახალი კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს მუხლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა მოქალაქეების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცებასა და გაფართოებას. ამ უფლებების წყარო, უწინარეს ყოვლისა, არის სოციალისტური წყობილება, სოციალისტური ეკონომიკა, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ამ უფლებებსა და მოვალეობებს დააკანონებს ახალი კონსტიტუცია, რომლის მიღება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

საბჭოთა ადვოკატურის ინსტიტუტის შესახებ ახალი კონსტიტუციის პროექტში განვითარებული დებულებები დიდად ათართოებს ადვოკატის მოქმედების სფეროს, ამაღლებს მის ავტორიტეტს და ამავე დროს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს მას. ადვოკატი, რომელიც მოვალეა მთელ თავის საქმიანობაში მტკიცედ დაიცვას საბჭოთა კანონები, „ეთიკლსინდისიერად შეასრულოს მისთვის დაისრებული მოვალეობა, იყოს ომწყვეტილი, სამაგალითო, თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში უპირველს ყოვლისა მოვალეა აგრეთვე ყველაფერი იურიდიული რჩევა-დარიგება მისცეს მოქალაქეებს და ჩამოიყალიბოს მათ სასამართლო საქმესთან სწორი სამართლებრივი პოზიცია, დაარწმუნოს ისინი იურიდიული ნორმების ნებაყოფლობით დაცვის აუცილებლობაში. საბჭოთა ადვოკატი პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით უნდა იკიდებდეს მის მიერ შედგენილი განცხადებების, საჩივრების და პოზიციის შერჩევის საფუძვლიანობის საქმეს, ყველა შედგენილ სამართლებრივ დოკუმენტს უნდა ამყარებდეს საქმის ფაქტიურ გარემოებასა და კანონზე.

ახალი კონსტიტუციის პროექტით ბრალდებულისათვის დაცვის უფლება აყენილია კონსტიტუციურ პრინციპამდე. პროექტის 157-ე მუხლში ყითხულობთ: „ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება“.

მოქმედი სისტემის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით „ბრალდებული“ ნიშნავს პირს, რომლის მიმართ გამოტანილია დადგენილება მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ბრალდებული სახით. ბრალდებულის სამართალში მიცემის შემდეგ კი მას ეწოდება სამართალში მიცემული, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ — მსჯავრდებული.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია ახალი კონსტიტუციის პროექტის 157-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**ბრალდებულისათვის, სამართალში მიცემულისა და მსჯავრდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება**“.

კონსტიტუციის პროექტის 160-ე მუხლში ჩაწერილია: „მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად მოქმედებენ ადვოკატთა კოლეგიები. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქალაქენი უფასოდ იღებენ იურიდიულ დახმარებას“.

რამდენადაც იურიდიული კონსულტაციები სამართლებრივი მომსახურების თვალსაზრისით დახმარებას უწევენ არა მარტო მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს, არამედ დაწესებულებებსა და საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ამდენად 160-ე მუხლს უნდა დაემატოს სიტყვები: „**დაწესებულება**“, „**საწარმო**“, „**კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა**“.

ამავე დროს, იმდენად, რამდენადაც ადვოკატთა კოლეგიების საქმიანობის წესი კანონით უნდა იყოს განსაზღვრული, 162-ე მუხლს საჭიროდ მიგვაჩნია დაემატოს სიტყვები: „**ადვოკატთა კოლეგიების საქმიანობის წესი კანონით არის განსაზღვრული**“.

გარდა ამისა, ადვოკატთა კოლეგიების სწორი და ერთიანი მეთოდური ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მიზნით, დასაბუთებული იქნებოდა წინადადების შემოტანა საკავშირო მასშტაბით მმართველობის ერთიანი ორგანოს შექმნის შესახებ, საბჭოთა კავშირის ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმის სახით, რომელიც შეიქმნება არჩევითი საწყისებზე.

ამ წინადადებების გაზიარების შემთხვევაში საჭირო იქნება კონსტიტუციის პროექტის მეშვიდე თავში ჩამოთვლილ ადვოკატთა კოლეგიებიც და დასათარიღებ: „ადვოკატურა, არბიტრაჟი, სასამართლო — ბრალმდებელობა“ — „ადვოკატთა კოლეგიები“, „ადვოკატთა კოლეგიებიდან ჩამოყალიბდეს „მოქალაქეების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის იურიდიული დახმარების გასაწევად მოქმედებენ ადვოკატთა კოლეგიები. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოქალაქენი უფასოდ იღებენ იურიდიულ დახმარებას. ადვოკატთა კოლეგიების საქმიანობის წესი კანონით არის განსაზღვრული და მათი მუშაობის ხელმძღვანელობა ხორციელდება საბჭოთა კავშირის ადვოკატთა კოლეგიების პრეზიდიუმის მეშვეობით, რომელიც ხუთი წლის ვადით ირჩევა ადვოკატთა ყრილობის მიერ“.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი წინადადება კონსტიტუციის ახალი პროექტის შესახებ, რომელიც ეურთდება ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარე გაცხოველებულ სერიოზულ მუშაობას — პროექტის ნამდვილად საქმიან და მაქსიმალურად ფართო განხილვას.

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, ეურდნობა რა მკვიდრ პროექტიულ და თეორიულ საფუძველს, უაღრესად დიდი მნიშვნელობის დოკუმენტია, უდიდესი პოლიტიკური მოვლენაა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. მთელი ჩვენი ხალხი ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს მას.

ბ. როინიშვილი.

ხაქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

რომ სიმართლეს მსახურებდეს

სოციალისტური დემოკრატიის სიდიადე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზეც დაბეჭდეს, იმაზე მოიმაკი!

უმნიშვნელოვანესი ეტაპი მიწათმოქმედთა ცხოვრებაში

საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვა კარს მოგვადგა. ზოგიერთ რაიონში იგი უკვე დაიწყო, მთელ რიგ რაიონებში კი 10-20 სექტემბრიდან აიღებს ხტარტს.

თესვის ორგანიზებულად, საუკეთესო აგროვადებში დამთავრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაღალხარისხოვანი თესლის მომზადებას და მისი კონდიციურობის უზრუნველყოფას. სამწუხაროდ, საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის მომზადების ტემპი რესპუბლიკაში სრულიად არადამაკმაყოფილებელია, ბევრ რაიონში ამ მხრივ შეუწყნარებელი მდგომარეობაა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეთესლეობის სახელმწიფო ინსპექციების რესპუბლიკური სამმართველო გვაცნობებს, თუ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ ცალკეულ რაიონებში 30 აგვისტოსათვის.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლეულობის დასათესად მომზადების მიმდინარეობა 1977 წლის 30 აგვისტოს მდგომარეობით (ცენტნერობით)

რაიონების დასახელება	გეგმა	ნათესია	ტარიფირებულ	% გეგმასთან	მათ შორის I ეტ.	%	II ეტ.	%
ახალქალაქი	5400	3500	3500	64,8	3500	100,0	—	—
ბოგდანოვკა	3450	2257	2257	65,4	1020	45,2	1237	54,8
ახალციხე	5700	5490	5490	96,3	5490	100,0	—	—
ასპინძა	2750	890	760	27,6	—	—	200	100,0
ხაშური	9580	11215	7090	74,0	3590	50,6	3500	49,4
ქარელი	18475	19717	19717	106,7	12333	62,6	4272	21,7
გორი	19135	19664	15340	80,2	11770	76,7	3570	23,3
კასპი	12924	13740	13315	103,0	10610	79,7	1805	13,6
საგარეჯო	36554	39540	39190	107,2	13250	33,8	25940	66,2
გურჯაანი	9645	10800	8330	86,4	5540	66,5	1580	19,0
სიღნაღი	55557	63303	58553	105,4	46673	79,7	11280	19,3
წითელწყაროო	65200	69280	65860	101,0	42860	65,1	17020	25,8
თელავი	10591	11251	9671	91,3	4028	41,6	5643	58,4
ახმეტა	12580	13050	13050	103,7	9450	72,4	2850	21,8
ყვარელი	15960	16570	11790	73,8	810	7,0	4340	36,8
ლაგოდეხი	24995	26730	17810	71,2	8080	45,4	7350	41,3
გარდაბანი	17984	24880	15030	83,6	2770	18,4	8160	54,3
მცხეთა	6888	6986	3144	45,6	1894	60,2	250	8,0
მარნეული	15840	24260	17680	111,6	750	4,2	15830	89,5
ბოლნისი	13735	15610	11750	85,6	6220	53,0	2800	23,8
წალკა	1750	1850	—	—	—	—	—	—
დუშეთი	8356	8390	7390	88,4	2050	27,7	3200	43,3
თეთრი წყაროო	26520	26930	13420	50,6	1600	12,0	8000	59,6
დმანისი	12326	9983	9983	81,0	7003	70,2	2980	29,8
თიანეთი	5700	5975	3760	66,0	710	19,0	2100	55,8
სამხ. ოსეთის ა/ო	18600	19325	13950	75,0	5820	41,7	5530	39,6
წყალტუბო	7107	7210	2775	39,0	—	—	2300	61,0
საგურამო	800	2290	2140	267,5	1890	88,3	250	11,7
წულუკიძე	1425	2090	639	44,8	—	—	639	100,0
ვანი	750	420	—	—	—	—	—	—
ზესტაფონი	1200	1525	250	20,8	250	100,0	—	—
თერჯოლა	2400	4200	—	—	—	—	—	—
ჭიათურა	1390	466	433	31,0	—	—	430	100,0
საჩხერე	3875	3925	2248	58,0	200	8,9	1848	82,2
სულ რესპუბლიკაში —	455142	493312	396312	87,1	210361	53,2	144904	36,6
იყო 1976 წ. 30/VIII სულ რესპუბლიკაში	505603	474083	329409	65,1	146244	44,2	123851	37,6

როგორც აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესლის მომზადებაზე სათანადოდ არ იზრუნეს ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძის, წალკის, თეთრი წყაროს, დმანისისა და სხვა რაიონების საზოგადოებრივმა მეურნეობებმა. მათ ჯერაც არ მოუმარაგებიათ საკმაო რაოდენობის მაღალხარისხოვანი თესლი.

გამოყოფილი თესლი ჯერ კიდევ დაბალი ხარისხისაა, ხოლო პირველი კლასის თესლი მცირე რაოდენობით აქვთ მარნეულის, გარდაბნის, დუშეთის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, წულუკიძის, წალკისა და სხვა რაიონების მეურნეობებს.

თესლი მოსავლის დედაა, რასაც დასთეს, იმას მოიმკი. ეს ხალხური სიბრძნე, აგრეთვე ის, რომ უხარისხო თესლის თესვა უმძიმესი დანაშაულია, მუდამ უნდა ახსოვდეთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს. საჭიროა ჩამორჩენილი რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სასწრაფოდ განახორციელონ გადამჭრელი ღონისძიებანი და უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი თესლის მომზადებაში, ყველაფერი იღონონ, რათა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელს ორგანიზებულად, საუკეთესო აგროვადებში, მაღალხარისხოვნად დაამთავრონ საშემოდგომო თესვა, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მეთე ხუთწლედის მესამე წლის ბარაქიან მოსავალს. (საქინფორმი).

ინფორმაციებიდან

... ერთიან ძმურ ოჯახში

ბ. აფიმოვი,

უაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ყაზახეთის, ისევე როგორც ყველა მომმე საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელები დიდი ოქტომბრის იუბილეს ეგებებიან ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში სოციალისტური სამშობლოს მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის სიამაყისა და სიხარულის გრძნობით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ყაზახეთმა სამოც წელიწადში გმირული გზა განვლო. მეფის რუსეთის ყოფილი ჩამორჩენილი განაპირა მხარე გადაიქცა რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მრავალდარგოვანი ინდუსტრია, დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება და კულტურა. ყაზახმა ხალხმა გვერდი აუარა განვითარების კაპიტალისტურ სტადიას და ფეოდალიზმიდან პირდაპირ სოციალიზმზე გადავიდა. სწორედ ამიტომ ყაზახი ხალხი, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხები, თავის ახალ ისტორიას დიდი ოქტომბრიდან იწყებს.

რესპუბლიკის რუკაზე ახლა აღნიშნულია 82 ქალაქი, რომელთაგან 65 საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა, ათასობით კეთილმოწყობილი სოფლის დასახლებული პუნქტი და მუშათა დაბა, დიდი წყალსაცავები და არხები. ათეულობით ახალი ინდუსტრიული დარგი, ვიდრე წინა 50 წლის მანძილზე.

არნახული მასშტაბით წარმოებს მშენებლობა სოფლად. მნიშვნელოვნად განვითარდა მელიორაცია, მწყობრში ჩადგა ასიათასობით ჰექტარი სარწყავი მიწები, გაწყლიერებულია ათეულმილიონობით ჰექტარი საძოვრები.

ყამირი მიწების ათვისებამ და ასობით ახალი საბჭოთა მეურნეობის შექმნამ რესპუბლიკა გადააქცია ჩვენი ქვეყნის მარცვლეულისა და მეცხოველეობის ერთ-ერთ დიდ ბაზად. 1971-1976 წლებში მარცვლეულის საშუალო წლიურმა წარმოებამ 23 მილიონი ტონა შეადგინა, რაც 6,3-ჯერ მეტია, ვიდრე საშუალოდ ექვსი წლის მანძილზე ყამირის ათვისებამდე. ახლა ყაზახეთში არის 8 მილიონი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 45 მილიონი სული ცხვარი, დიდძალი ღორი, ცხენი და ფრინველი.

სოციალიზმის დიადი გარდამქმნელი ძალა მკაფიოდ გამოვლინდა სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობაში. მხარეში, სადაც რევოლუციამდე წერა-კითხვა იცოდა მოსახლეობის ორ პროცენტზე ნაკლებმა, დღეს არის 9 ათასი სკოლა, სადაც 3,3 მილიონი ბავშვი სწავლობს, 50 უმაღლესი და 216 საშუალო სპეციალური სასწავლებელი. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია, ათობით სამეცნიერო დაწესებულება ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევას აწარმოებენ მეცნიერების ყველაზე აქტიურ მიმართულებებით.

სწრაფად ვითარდება კულტურა, რესპუბლიკაში მუშაობს ათასობით კულტურის სასახლე, კლუბი და ბიბლიოთეკა, ბევრი მუზეუმი და თეატრი.

ყველა ჩვენი წარმატება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის თავდადებული შრომის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შუდმივი ზრუნვის, დიდი რუსი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის უანგარო დახმარების შედეგია.

რესპუბლიკის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი შრომითი წარმატებებით შეეგებონ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის მე-60 წლისთავს, წარმატებით განახორციელონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

60 ყაზახეთის სსრ

2. ყაზახეთი

ყამირიდან ოაგისამდე

ბ. აფიმოვი,

ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ყაზახეთის, ისევე როგორც ყველა მომმე საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელები დიდი ოქტომბრის იუბილეს ეგებებიან ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში სოციალისტური სამშობლოს მიერ მოპოვებული წარმატებებისათვის სიამაყისა და სიხარულის გრძნობით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში ყაზახეთმა სამოც წელიწადში გმირული გზა განვლო. მეფის რუსეთის ყოფილი ჩამორჩენილი განაპირა მხარე გადაიქცა რესპუბლიკად, რომელსაც აქვს მრავალდარგოვანი ინდუსტრია, დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა, ...

ფელიქს ძერჟინსკის დაბადების მე-100 წლისთავისათვის

რევოლუციის რაინდი

ლენინური ტიპის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე

ბიოგრაფიის ფრაგმენტები

1922 წლის ზაფხულში პოლონეთის კომუნისტურმა მუშათა პარტიამ გააჩაღა სემის საარჩევნო კამპანია, რომლის წარმოება მას ჭეშეა ბურჟუაზიული და შემთანხმებლური პარტიის მიერ კომუნისტების დევნისა და უსასტიკესი ტერორის პირობებში უხდებოდა.

ამისათვის, რომ მიემხრო ამომრჩევლები და კამპანია მუშათა და გლეხთა ინტერესების დაცვის ლოზუნგით მოეწყო, კომპარტიამ შექმნა ლეგალური პოლიტიკური ორგანიზაცია — ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის კავშირი.

ამ კავშირის პროგრამა მოუწოდებდა ებრძოლათ სოციალისტური რესპუბლიკისათვის, და ბურჟუაზიული დემოკრატიის ლოზუნგს მუშათა დემოკრატიის ლოზუნგი დაუპირისპირა.

პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიის არჩევნებსწინა პლატფორმა მოწმობდა, რომ მას შეგნებული ჰქონდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის აუცილებლობა, მაგრამ მკაფიოდ არ აყალიბებდა გლეხობის ძირითად მოთხოვნებს მემამულეთა მიწების უსასყიდლო კონფისკაციისა და მშრომელი ხალხისათვის მათი გადაცემის შესახებ.

ფ. ე. ძერჟინსკი ყურადღებით აღევნებდა თვალს პოლონეთის ამბებს და ცდილობდა გაეცნო ისინი რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის. პოლონეთში საარჩევნო კამპანიის მასალები რომ მიიღო, მან ისინი 1922 წლის 13 სექტემბერს გადაუგზავნა ცენტრალურ კომიტეტს და სთხოვა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მომავალი სხდომის დღის წესრიგში შეეტანათ პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიის წარმომადგენლის ე. პრუნნიაკის ინფორმაცია ამ კამპანიის შესახებ.

კომინტერნის IV კონგრესზე, რომელიც 1922 წლის ნოემბერ-დეკემბერში გაიმართა ჯერ პეტროგრადში, შემდეგ კი მოსკოვში, მონაწილეობდა პოლონეთის მრავალრიცხოვანი დელეგაცია. დელეგაციაში შედიოდნენ პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელი მოღვაწეები და საბჭოთა რუსეთში მყოფი პოლონელი კომუნისტები ა. ვარსკი, ვ. კოსტშევა, ფ. ფიდლერი (ტრუსკერი), ი. მარხლევსკი, ფ. გერლშრაკი, ე. პრუნნიაკი, ფ. კონი და სხვები. ფ. ე. ძერჟინსკი იყო კონგრესის დელეგატი, რომელსაც ჰქონდა მანდატი პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიისაგან.

30 ნოემბერს პოლონეთის რევოლუციური მოძრაობის უხუცესი მოღვაწის ფ. კონის წინადადებით კონგრესმა მიიღო რეზოლუცია რევოლუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის (რემედასის) შექმნის შესახებ, რომლის მიზანი იყო „მატერიალური და ზნეობრივი დახმარება გაეწია საპყრობილეებში გამომწყვდეული კაპიტალის მსხვერპლთათვის“.

რემედასის აღმასკომის თავჯდომარედ დაინიშნა მუშათა პოლონეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მერე თვალსაჩინო მოღვაწე ი. მარხლევსკი.

ამ საერთაშორისო რევოლუციურმა ორგანიზაციამ დიდი როლი შეასრულა მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის განვითარებასა და განმტკიცებაში, თეთრი ტერორის მსხვერპლთა და ფაშიზმის და ომის წინააღმდეგ მებრძოლთათვის დახმარების გაწევაში.

ამ ორგანიზაციის შექმნის ინიციატორი შემთხვევით როდი იყვნენ საბჭოთა რუსეთში მყოფი პოლონელი კომუნისტები. ტერორისა და დევნის შედეგად ათასობით პოლონელი კომუნისტი საპყრობილეში აღმოჩნდა, მათი ოჯახები ულუკმაპურად დარჩენ. ჯერ კიდევ 1922 წლის ზაფხულში რუსეთის სფს რესპუბლიკაში მყოფმა პოლონელი კომუნისტების ჯგუფმა გამოაქვეყნა მიმართვა „საბჭოთა რესპუბლიკებში მყოფი ყველა პოლონელი კომუნისტისადმი“. მას ხელს აწერდნენ ფ. ე. ძერჟინსკი და პოლონეთის მუშათა მოძრაობის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები — ი. მარხლევსკი, ხ. ბობინსკი, ვ. ბოგუცკი, ს. ბუგინსკი, ფ. კონი, ი. განეკკი, ი. უნტლიხტი, ე. პრუნნიაკი და სხვები. მიმართვაში ნათქვამი იყო: „სამშობლოში დაბრუნების გზა ჩვენთვის დახშულია, ჩვენს რიგებს კი ემატებიან ისინი, ვინც გააფთრებული დევნის გამო იძულებულია დატოვოს პოლონეთი, ჩვენ დაგვრჩა ერთადერთი უფლება, რომელსაც ვერავინ ვერ წაგვართმევს, ეს არის უფლება მსარში ამოვეფაროთ, უფლება დავიხმაროთ პოლონეთის მებრძოლ პროლეტარიატსა და მის ხელმძღვანელს — პოლონეთის კომუნისტურ მუშათა პარტიას“. მიმართვა მთავრდებოდა მოწოდებით შეეგროვებინათ ფული პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიისა და პოლიტიკურ პატიმართა დასახმარებლად.

1922 წლის აგვისტო-დეკემბრის მანძილზე რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლონეთის ბიუროს და პოლონეთის ადგილობრივმა ბიუროებმა ფართო კამპანია გააჩაღეს ხახსრების შესაგროვებლად. გაზეთ „ტრიბუნა კომუნისტჩინაზე“ რეგულარულად იბეჭდებოდა ინფორმაცია კამპანიის მსვლელობის შესახებ. მან პოლონეთში თეთრი ტერორის წინააღმდეგ მძლავრი საპროტესტო დემონსტრაციის სახე მიიღო საბჭოთა რუსეთში.

ფ. ე. ძერჟინსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლონელ კომუნისტთა და პოლონელ მშრომელთა მონაწილეობას სსრ კავშირში სოციალიზმის შენებლობაში. ხელმძღვანელობდა რა ბუნთა სახალხო კომისარიატს, შემდეგ კი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, იგი ამ დაწესებულებების მუშაობაში ამაბედა მისთვის კარგად ნაცნობ პოლონელებს, რადგან, მისი აზრით, სამეურნეო მუშაობა საბჭოთა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“, № 206, 207.

კაკშირში კარგად მოამზადებდა მათ მომავალ მუშურ-ელეურ პოლონეთში საქმიანობისათვის. 1923 წელს მოსკოვში გაცვლით ჩამოვიდნენ დაპატიმრებული პოლონელი კომუნისტები. ფ. ე. ძერჟინსკიმ ერთ-ერთი მათგანი, ე. ბრანდი (გ. ლიაუერი), სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს აპარატის მუშაობაში ჩაბა. იქვე მუშაობდნენ ზ. ლედერი და იან ტანენბაუმი. ადამსკისადმი (ლ. პრენტკისადმი) წერილში ფ. ე. ძერჟინსკი წერდა: „თქვენ ელექტროტექნიკოსი ინჟინერი ბრძანდებით, და ნამდვილად ცოდვა იქნება, თქვენს დარგში რომ არ მუშაობდეთ... რუსეთის სფს რესპუბლიკის აღმშენებლობის სამეურნეო მუშაობაში მონაწილეობა საუკეთესო მომზადებაა პოლონეთის საბჭოთა რესპუბლიკაში მუშაობისათვის“. პოლონელი კომუნისტები გახდნენ პოლონელი ბავშვთა სკოლების დასახმარებლად სახსრების შეგროვების კამპანიის ინიციატორები. პოლონეთის კულტურულ-საგანმანათლებლო გაერთიანება „პრაცასთან“ („შრომა“) შეიქმნა სასკოლო ფონდის ცენტრალური კომისია. საბჭოთა რუსეთში მცხოვრებ სხვა პოლონელ კომუნისტებთან და პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიის მოღვაწეებთან ერთად ფ. ე. ძერჟინსკიმ აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ კამპანიაში.

პოლონეთის კომუნისტური პარტია დიდად აფასებდა მის დახმარებასა და რჩევა-დარიგებას, მისმა ხელმძღვანელობამ 1923 წლის დამდეგს გადაწყვიტა პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიის II ყრილობაზე მიეწვია ფ. ე. ძერჟინსკი, ი. მარხლევსკი, ფ. კონი და ი. უნშლიხტი. ყრილობა 1923 წლის სექტემბერში გაიმართა ბოლშევიზმი, მოსკოვის ხაზზე. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ კომინტერნისა და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, ა. ერეკი რამდენიმე მაძე კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები — მ. კაშენი, ო. ვ. კუსინენი, ვ. მიცკიაიჩუს-კაფსუკასი, ბ. შნერალი, ს. ლიზოვსკი, ნ. სკრიპნიკი და სხვები.

ყრილობამ შეაჯამა პარტიის ხუთი წლის საქმიანობის შედეგები, დაუსუსტა პოლონეთში რევოლუციური პროცესის მამოძრავებელი ძალების საკითხი და დასახა პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიის სტრატეგიული გეზი. გულმოდგინედ გააანალიზეს სოფლის მდგომარეობა, განსიხილეს გლეხობის, როგორც პროლეტარიატის მომავალი მოკავშირის, სხვადასხვა ფენის მოთხოვნები და როლი.

ახლებურად, შემოქმედებითად, მარქსისტულ-ლენინურად გადაიჭრა ეროვნული საკითხი. ყრილობის დოკუმენტებში ჩამოყალიბებული იყო თავიანთი უფლებებისათვის ეროვნულ უმცირესობათა ბრძოლისა და ერების თვითგამორკვევის უფლების შესახებ ლენინური ყოველმხრივი მხარდაჭერის ამოცანა.

ამრიგად, ძირითადი საკითხები — პროლეტარიატისა და მისი მოკავშირეების ბეჭედნიის, ჩაგრული ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და გლეხთა მოძრაობის მხარდაჭერის საკითხები ლენინურად გადაწყდა.

ყრილობამ გაითვალისწინა წინანდელი ტაქტიკური შეცდომები და დაადგა მასების ლეგალური და არალეგალური მუშაობის შეხამების კურსს, მაკიცად დადგა ერთიანი ფრონტის რევოლუციურ ბრძოლაში ბურჟუაზიული პარლამენტის გამოყენების, პროფკავშირთა ერთიანობის განმტკიცების პოზიციებზე და დაამტკიცა მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი.

როგორც ძირითადი მოხსენებები, ისე ყრილობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, კომინტერნის გეზს ეყრდნობოდა და შეესაბამებოდა.

ფ. ე. ძერჟინსკი მონაწილეობდა ყრილობის მუშაობაში. მის გამოჩენას ენთუზიაზმით შეხვდნენ დელეგატები. აი როგორ იგონებს ამას ა. ლენოვიჩი, პოლონეთის კომუნისტური მოძრაობის ვეტერანი, პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიის II ყრილობის მონაწილე: „ფელიქს ძერჟინსკი ყველა ჩვენთაგანისათვის იყო ლეგენდარული პიროვნება, ხორცშესხმა ლოზუნგისა — „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის!“. ვამაყობდით, რომ ჩვენი თანამემამულე, პოლონელი ხალხის შვილი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი წამყვანი მოღვაწე, კონტრრევოლუციის რისხვა, დიდი ლენინის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი გასდა. ჩვენ ვთხოვეთ გამოსულიყო, მაგრამ კატეგორიული უარი გვითხრა, რადგან პოლონეთის მუშათა მოძრაობის მიმდინარე პრობლემებს უკვე მოვწყდიო. მას სრულიადაც არ სურდა გამოსულიყო ყრილობის ტრიბუნედან, მაგრამ ამავე დროს ესაუბრებოდა ამხანაგებს ვარსკის, ვეკშეკის, „ლოსუ მარტინს“ (ბეგლშჩაკს), ვრაევსკის და ეხებოდა პოლონეთის (მუშათა) მოძრაობისათვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხს. მე დამახსოვდა კითხვა, რომლითაც ძერჟინსკიმ ვარსკის მიმართა: „როგორ ფიქრობ, რას იტყოდა როზა ყოველივე ამაზე, რაც ახლა ხდება?“. მახსოვს აგრეთვე მის გარშემო მყოფ ამხანაგებს რომ. გვითხრა, გადაჭრით უნდა შევცვალოთ აგრარული საკითხისადმი დამოკიდებულება. მან რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მიდგომაზე ამ საკითხისადმი და აღნიშნა: ომის წინ და ომის დროს რომ გაგვეკო მუშათა და გლეხთა კავშირის ლენინური ლოზუნგის მნიშვნელობა, ჩვენ ახლა გვექნებოდა სოციალისტური პოლონეთი, თავისუფალი და იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებელი. ძერჟინსკი ამბობდა, გუფუმოდგინედ უნდა განვიხილოთ ეროვნული საკითხი, რადგან „უნდა გაღიაროთ, რომ ამ საკითხში შევცოდეთო“.

იგი არაერთგზის დაბრუნებია პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის და პოლონელი კომუნისტების შეცდომებს აკრარულ და ეროვნულ საკითხებში. მაგალითად, ქალაქ დოგბიშის (მარხლევსკის), იმ დროს უკრაინის პოლონური რაიონის ცენტრის, მუშებისადმი წერილში ფელიქს ედმუნდის ძემ კვლავ გააკრიტიკა პოლონეთის სამეფოსა და ლიტვის სოციალ-დემოკრატიის მცდარი შეხედულებანი ამ საკითხებზე და აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლონეთისათვის გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის ლენინურ პოლიტიკას.

ფ. ე. ძერჟინსკი ესწრებოდა კომინტერნის V კონგრესს, რომელიც 1924 წლის ივნის-ივლისში გაიმართა. იგი, როგორც რკპ (ბ) დელეგაციის წევრი, შევიდა პოლონეთის კომუნისტურ მუშათა პარტიაში წარმოშობილი კრიზისის გამო შექმნილ კონგრესის პოლონეთის კომისიაში. ამ კრიზისის მიზეზი ის იყო, რომ პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1923 წლის დეკემბერში რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს მიმართა წერილით, სადაც ნათქვამი იყო, ვაითუ ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლამ გათიშოსო რკპ(ბ) — კომუნისტური ინტერნაციონალის ავანგარდი პარტია. პოლონეთის კომისიამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ საჭიროა კომინტერნის აღმასკომმა ღია წერილით მიმართოს პოლონეთის კომუნისტურ მუშათა პარტიას და მოიწვიონ პარტიის რიგგარეშე კონფერენცია. კომინტერნის აღმასკომმა მიმართვაში „პოლონეთის კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციისადმი“ განმარტა მისი ხელმძღვანელობის შეცდომების ხასიათი და განსაზღვრა უახლოესი ამოცანები, რაც დაეხმარა პოლონელ კომუნისტებს პარტიის შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

1925 წლის მარტში გაიმართა პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიის III ყრილობა. წინა დღეს პარტიის ხელმძღვანელობამ ფ. ე. ძერჟინსკის სთხოვა მონაწილეობა მიეღო მის მუშაობაში, მაგრამ მოუცლელობის გამო იგი ვერ დაესწრო ყრილობას. ფელიქს ედმუნდის ძემ პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა წერილი, სადაც პოლონელ კომუნისტებს შეახსენა პოლონეთის რევოლუციური მუშათა მოძრაობის ტრადიციები: „ჩვენ სახელოვანი ტრადიციები გვაქვს, ეს არის უკიმპრომისო რევოლუციური ბრძოლის ტრადიციები პოლონელი პროლეტარიატისა, რომელიც რუსი რევოლუციური პროლეტარიატის მხარდამხარ იბრძვის ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით“. პოლონეთის სამეფოს და ლიტვის სოციალ-დემოკრატიისა და პოლონეთის კომუნისტური მუშათა პარტიის შეცდომებს რომ ეხებოდა, იგი პარტიას მოუწოდებდა შეესწავლა სოციუთარი ისტორია, რათა მომავალში თავიდან აეცილებინა ისინი. ძერჟინსკი გამოთქვამდა იმედს, რომ მუშათა მასებთან ათასობით ძარღვით დაკავშირებული პარტია მათ საბოლოო მიზნამდე — კომუნიზმის გამარჯვებამდე მიიყვანდა. ამ წერილს მან თავისი ძველი პარტიული ფსევდონიმი „იუზეფი“ მოაწერა.

III ყრილობამ მოიწონა კომინტერნის V კონგრესის შემდეგ პარტიულ ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებები და აირჩია ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა, რომელიც შეუდგა ყრილობაზე დასახული მოქმედების საბრძოლო პროგრამის განხორციელებას. პარტიის მუშაობა რთულ პირობებში მიმდინარეობდა. 1925 წლის თებერვალში პოლონეთის მთავრობამ შემოიღო სამხედრო-საველო სასამართლოები, იგი პროფოკატორებს შეაპარებდა ხოლმე პარტიულ ორგანიზაციებში, სასტიკად აწამებდა პატიმრებს. პოლონეთის ბურჟუაზიულმა ხელისუფლებამ ვერაგულად მოაკლვევინა ორი პოლონელი რევოლუციონერი ოფიცერი — ვ. ბაგინსკი და ს. ვეჩორკევიჩი, რომლებსაც სიკვდილი ჰქონდათ მისჯილი. საბჭოთა მთავრობასთან შეთანხმებით ნავარაუდები იყო გაეცვალათ ისინი ერთერთ საბჭოთა საპატიმროში მყოფ პოლონელ კონტრრევოლუციონერებზე, მაგრამ სსრ კავშირში გზად მიმავალი ოფიცრები მსეიურად მოკლეს სტოლბეცის სადგურში, საბჭოთა საზღვრის მახლობლად. 1925 წლის თებერვალში ორ ახალგაზრდა კომუნისტს — ფრ. პილიარჩიკსა და მ. გაიჩიკს, რომელებმაც პარტიის განაჩენით მოსპეს პროვოკატორი, ალყა შემოარტყეს პოლიციელებმა დომბროვა-გურნიჩაში, და შხამიანი გაზებით მოწამლეს.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტი — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი აწყობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის

ფელიქს ედმუნდის ძე ძერჟინსკის
დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ
სამეცნიერო სესიას.

წაკითხულ იქნება მოხსენებები:

ფ. ე. ძერჟინსკი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე.

ფ. ე. ძერჟინსკი — სოციალისტური სახალხო მეურნეობის ნიგბიერი ორგანიზატორი.

ფ. ე. ძერჟინსკი — ბავშვთა უპატრონობის ლიკვიდაციისა და მოზარდი თაობის აღზრდისათვის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მუშაობის ორგანიზატორი.

სესია გაიმართება ინსტიტუტის საქმეთა დარბაზში 1977 წლის 7 სექტემბერს, დღეს 3 საათზე (რუსთაველის პროსპექტი, 29).

გაერთიანებული ერთიანობა

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის განცხადება

ნიუ-იორკი, 5 სექტემბერი (საკუთარი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა ორგანიზებულ ამერიკელ მშრომელებს განმტკიცონ ერთიანობა მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად ბრძოლისათვის.

შრომის დღესთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ განცხადებაში, კომპარტიამ წამოაყენა მუშათა მოთხოვნების პროგრამა. მასში აღნიშნულია მშრომელების პროფკავშირებში გაერთიანებისათვის აქტიური კამპანიის გაჩაღების საჭიროება, უწინარეს ყოვლისა სამხრეთ შტატებში, აგრეთვე ანტიმუშური კანონმდებლობის—ტაფტ-ჰარტლის, ლენდრამ-გრიფინის და სხვა კანონების გაუქმებისათვის, შრომელთა სრული დასაქმებისა, უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა. კომპარტია მოითხოვს ბოლო მოეღოს რასობრივ დისკრიმინაციას წარმოების სფეროში. სამუშაო მიეცეს უმუშევარ ახალგაზრდობას.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტია აღნიშნავს, რომ ეს ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნები განუყოფელია ისეთი ამოცანებისაგან, როგორიცაა საშიერო-სამრეწველო კომპლექსის ალაგმვა, ნეიტრონული ბომბისა და მასობრივი განადგურების სხვა იარაღის წარმოებაზე უარის თქმა. პროფკავშირული მოძრაობის ძალები, სთქვამდა განცხადებაში, უნდა დაირაზმონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, სოციალისტურ ქვეყნებთან თანასწორუფლებიანი ვაჭრობის განვითარების და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მიღწევის უზრუნველყოფისათვის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის სფეროში. აღნიშნულია, რომ პენტაგონის ბიუჯეტის მკვეთრი შემცირების ხარჯზე შეიძლებოდა მილიარდობით დოლარის გამოყოფა უმუშევრობის ლიკვიდაციისათვის.

ამ ამოცანების განხორციელებისათვის, აღნიშნულია დოკუმენტში, საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა მემარჯვენე პროფკავშირული ლიდერების აგრესიული, სამხედრო, პროიმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, პროფკავშირული ლიდერებისა, რომელთაც ჯ. მინი ხელმძღვანელობს, იმის მიღწევა, რომ ანტიკომუნისტური მუხლები ამოიღონ ამერიკის შრომის ფედერაციისა და პროფკავშირთა საწარმოო კონგრესის წესდებიდან, ბოლო მოეღოს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მაქინაციებში რეაქციული პროფესიული ზედაფენების მონაწილეობას, შემუშავდეს მთელი მსოფლიოს პროფკავშირების თანამშრომლობის პროგრამა.

სენატორთა შეშფოთება

ვაშინგტონი, 6 სექტემბერი. (საკუთარი). აფეთქება საშიშ ახლო აღმოსავლეთის რაიონში შეერთებული შტატების მიერ შეიარაღების მიწოდების ზრდა საღად მოაზროვნე ამერიკელ კანონმდებლებთა სულ უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს. სენატორმა უ. პროქსმაირმა დღეს პრეზიდენტ ჯ. კარტერს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოუწოდა უარყოს თავდაცვის სამინისტროს რეკომენდაცია საუდის არაბეთისათვის „ფ-15“ 60 ზეგგერითი ავიაგამანადგურებელი ბომბდამშენის მიწოდების შესახებ.

სენატორმა აღნიშნა, რომ საუდის არაბეთისათვის ამ უახლესი თვითმფრინავების გათვალისწინებული მიწოდება არ შეეიღება ადმართლებულ იქნეს ამ ქვეყნის თავდაცვის საჭიროებით, რომელიც საკმარისზე მეტად არის უზრუნველყოფილი უკვე მოწოდებული „ფ-5“ 90 ავიაგამანადგურებლის მიწოდებით. გარდა ამისა, თუ საუდის არაბეთი მიიღებს „ფ-15“ ავიაგამანადგურებლებს, აღნიშნა მან, ისრაელი ჯაჭილერებს ზემოქმედებას ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რათა მასაც მიაწოდონ ასეთი იარაღი. ამას კი „მოპყვება ამ მერყევ რაიონში გამალებული შეიარაღების ესკალაციის ახალი რაუნდი“, ხაზი გაუსვა უ. პროქსმაირმა.

ამერიკული იარაღით ახლო აღმოსავლეთისა და სპარსეთის ყურის რაიონის გადაჭარბებით ტვირთველყოფასთან დაკავშირებით სერიოზული შეშფოთება გამოთქვა სენატორმა გ. ნელსონმაც.

ანექსია მოქმედებს

ამანი, 6 სექტემბერი. (საკუთარი). ოდითგანვე არაბული მიწების უკანონო ოკუპაციის ათი წლის მანძილზე ისრაელმა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე შექმნა დაახლოებით 50 გაჩაჩხერილებული დასახლება, ხოლო ღაზის სექტორის რაიონში სინის ნახევარკუნძულსა და გუზანის მაღლობებზე 30-ზე მეტი ანგვარი ტიპის დასახლებული პუნქტი. ეს ნათქვამია იორდანიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრის მოხსენებაში, რომელიც განსახილველად წარედგინა არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს კაიროს სესიას.

ძირს ნეიტრონული ბომბი!

მომავალზე ფიქრი, ის, რომ ბავშვებისათვის ცა მუდამ ულრუბლო იყოს, ყველა კეთილი ნების ადამიანს უკარნახებს აქტიურად ჩაეთა მშვიდობის, უშიშროების და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში, აღიმაღლოს ხმა დასავლეთის მილიტარისტული წრეების მიერ გაჩაღებული გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს პენტაგონის გადაწყვეტილება ნეიტრონული ბომბის წარმოებისა და მისი დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების და, კერძოდ, გფრ-ის ტერიტორიაზე, განლაგების შესახებ.

„გახსოვდეთ ხიროსიმა! ძირს ნეიტრონული ბომბი!“, „შეწყდეს გამალებული შეიარაღება!“, — ასეთი ლოზუნგებით ბონში გაიმართა მშვიდობის მომხრეთა დემონსტრაცია, რომელიც დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა მოაწყეს.

სურათზე: დემონსტრაციის დრო.

საკადრისი ფოტო.

ქუჩაში გაყარეს

ანკარა, 6 სექტემბერი. (საკუთარი კორ.). 5 აგვისტოს, 44 დაჭრეს, 100-ზე მეტი დაპატიმრეს სტამბოლის უმრანიეს რაიონში მდებარე ქოხმახების — „გეჯეკონდუს“ მცხოვრებლებთან პოლიციის შეტაკების შედეგად. ამ რაიონში ქოხმახები ორი ათასზე მეტია. სამი დღის წინათ პოლიციის რაზმი ჯავშანტრანსპორტერებითა და ბულდოზერებით ამ რაიონში მივიდა, რათა დაენგრია „უკანონოდ“ აშენებული სახლები. ორსაათიანი შეტაკების შემდეგ „გეჯეკონდუს“ ბინადართა წინააღმდეგობა გატეხეს, მათი საცოდავი ქონება ქუჩაში გამოყარეს, სახლები ბულდოზერებით დაანგრიეს, რის გამოც რამდენიმე ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა.

საბინაო კრიზისი თანამედროვე თურქეთის ერთ-ერთი უმწვავესი სოციალური პრობლემაა. ქალაქში ჩვეულებრივი ბინაც კი მშრომელთათვის მიუწვდომელია. რაკი საბინაო ფართობის ქირით ღებების საშუალება არა აქვთ, ისინი ძალადებულნი არიან „აშენონ ქოხმახები, რომლებშიც არ არის არავითარი ელემენტარული კომუნალური პირობები.

1950 წლიდან დღემდე, წერს გაზეთი „ვატანი“, „გეჯეკონდუს“ რიცხვი ქვეყანაში ოცჯერ გაიზარდა და, თურქეთის სახელმწიფო სტატისტიკური ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, დაახლოებით 1,5 მილიონ ერთეულს შეადგენს. გაზეთი შეშფოთებით წერს, რომ თურქეთის უდიდესი ქალაქების მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტი ძალადებულია თავი შეაფარონ ქოხმახებს.

ტერორისტული აქტი

ბონი, 6 სექტემბერი. (საკუთარი). კელნში უცნობმა პირებმა მოიტაცეს დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი დიდი მეწარმე, გერმანელ სამეწარმოთა მეპატრონეთა კავშირების ფედერალური გაერთიანების თავმჯდომარე (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გ. მ. შლეიერი.

ორ ავტომანქანას, რომელთაგან ერთ-ერთში შლეიერი იმყოფებოდა, დღისით-მზისით ავტომატების ცეცხლი დაუშინეს. შლეიერის თანმხლები ოთხი კაცი მოკლეს, თვითონ ის კი უცნობი მიმართულებით გაიტაცეს.

პოლიცია ძიებას აწარმოებს, მაგრამ ამის ჯერჯერობით არავითარი შედეგი არ მოპყოლია.

საერთაშორისო ცხოვრება

დრო და მოვლენები

ყოველთვიური მიმოხილვა

ჩვენი გაზეთის მრავალი მკითხველის თხოვნით რედაქცია იწყებს საერთაშორისო ცხოვრების ყოველთვიური მიმოხილვების ბეჭდვას, რომლებშიც პოლიტიკური და საერთაშორისო მიმომხილველები იმსჯელებენ საერთაშორისო ურთიერთობის სადღეისო პრობლემებზე, გააანალიზებენ ერთი თვის მანძილზე მომხდარ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენებს, ამბებს, ფაქტებს.

მიმოხილვები გამოქვეყნდება ყოველი მომდევნო თვის პირველ რიცხვებში. ამასთან რედაქცია მკითხველებს სთხოვს გამოთქვან თავიანთი სურვილები, შენიშვნები, წინადადებები როგორც გამოქვეყნებულ მასალებზე, ისე მომავალ მიმოხილვებში გასათვალისწინებლად.

სოლიდარობა და თანამშრომლობა მტკიცდება

ევმოდგომის დამდეგი მოსავლის აღების დრო. საერთაშორისო მოვლენების მოსავალი გასულ თვეში უხვი იყო და აქედან ბევრი რამ ახარებს თითოეულ მშვიდობისმოყვარე მშრომელ ადამიანს. ამ კატეგორიას კი, საბედნიეროდ, ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მეტი წილი ეკუთვნის.

აგვისტო ახალი დადასტურება იყო იმისა, თუ რამდენად ამოუწურავია სოციალიზმის სისტემის ხელმეწიფოებს შორის თანამშრომლობის განვითარებისა და ერთიანობის განმტკიცების რეზერვები. თვის პირველ ნახევარში ყირიმში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრები სოციალისტური ქვეყნების მომძე პარტიების ხელმძღვანელებთან. მათი შედეგები ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო. ასეთი შეხვედრების მნიშვნელობა განუზომელია თუნდაც იმიტომ, რომ ამ დროს ზუსტდება საერთაშორისო საქმეებში სოციალისტური ქვეყნების საერთო სტრატეგია.

ინფორმაცია, რომელიც ყირიმში თანამოსაუბრეებმა ერთმანეთს გაუზიარეს, შეიცავდა ბევრ ისეთ მაჩვენებელს, რაც მოწმობს თითოეული ქვეყნის სოციალისტური ეკონომიკის დინამიკურ და სტაბილურ განვითარებას. ჩეხოსლოვაკიაში, მაგალითად, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება წლის პირველ ნახევარში მარნალდ 6,5 პროცენტით გაიზარდა, ბულგარეთში — 7,7 პროცენტით, პოლონეთში — 9 პროცენტით.

ეს ციფრები იმის მაჩვენებელია არის, რომ მრავლდება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ფორმები, მუდმივად ხდება მოწინავე გამოცდილების გაზიარება, რაც საბოლოო ანგარიშით გამოხატავს „სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის“ ფენომენს. ცხადია, ასეთი ოპტიმისტური სტატისტიკა საკადრის პასუხს აძლევს უცხოელ წინასწარმეტყველებს, რომლებიც დღედაღამ ამა თუ იმ სოციალისტურ ქვეყანაში „კრიზისებსა“ და „სამეურნეო ჩავარდნებს“ ქადაგებენ.

გასულ თვეში ყირიმის შეხვედრებს დაერთო სოციალიზმის ძალების ურთიერთმოქმედების განმტკიცების კიდევ ერთი მაგალითი. 16-24 აგვისტოს ჩეხეს ქვეყანაში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე იოსიპ ბროზ ტიტო. საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის კომუნიკეს „ანალიზის ბოლოს ხაზგასმულია, ორმხრივ ურთიერთობათა ადამიანმა 6-13 აგვისტოს ნეიტრონული ბომბის წინააღმდეგ მოქმედების კვირეულის გამო გამართული დემონსტრაციების დროს.

ამავე დროს ბევრი დასავლეთევროპელი შეაშფოთა ცნობამ იმის შესახებ, რ

კვლავ შექსპირი

სურათზე: სცენა ხელოვნებიდან „ჰეფე ჰენრი IV“.

ა. კაგბასიძის ფოტო.

„მეფე ჰენრი IV“ — ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის სპექტაკლი

ლენინგრადის მ. გორკის სახელობის აკადემიური დიდი დრამატული თეატრის ახალმა და სასურველმა სტუმრობამ მასპინძელთა ბუნებრივი ინტერესი გამოიწვია. დიდი პროლეტარული მწერლის უშუალო ინიციატივითა და გარჯით შექმნილი სახელოვანი კოლექტივის ხელოვნება და ის ფართო აღიარება, რომელიც მისმა ახალმა თაობამ საბჭოთა და უცხოელი მაყურებლის წინაშე მოიპოვა, უეჭველია, გულისხმიერ თბილისელთა ჯეროვან ყურადღებას იპყრობს.

შემოთავაზებული რეპერტუარი შინაარსითა და წარმოდგენილ ავტორთა ნაირგვარობით გამოირჩევა. აფიშაზეა ცნობილი საბჭოთა მწერლები ვ. შუმინი, ა. გელმანი, ა. სოკოლოვი, ამერიკელები ა. მილერი და პ. ზინდელი, რუმინელი ა. ბარანგა, ფინელი ხ. ეუოლოკი და, ბოლოს, მსოფლიოს კლასიკა ლევ ტოლსტოის და უილიამ შექსპირის უკვდავი სახელებით დამშვენებული.

შექსპირის გმირებთან ახალი შეხვედრის გამო უნდა ითქვას, რომ ქართულმა შექსპირიანამ არა მარტო დიდი ხანია დაგვაახლოვა ამ დიდი, გულთამხილველის შემოქმედებას, არამედ გზა-რადა კიდეც ჩვენი ინტერესი გენიალური დრამატურგის სცენური ინტერპრეტაციის ყოველი ახალი ცდის მიმართ. სწორედ ეს გაჯერმოება შეიცანით იმ დაძაბულ ყურადღებაში, რომლითაც ხალხით სავსე ფილარმონიის დიდი დარბაზი შეხვდა შექსპირის ისტორიული ქრონიკის პირველ წარმოდგენას.

„შექსპირთან პირველი შეხვედრისათვის გვინდოდა შეგვერჩია ნაწარმოები, რომელიც არ იქნებოდა დამძიმებული თეატრალური შტამპებითა და შესრულების ჩვეული ტრადიციული ფორმებით. „მეფე ჰენრი IV“ ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა. მე დიდი ხანია მიზიდავდა ეს ქრონიკა თავისი ღრმა აზრით აღსავსე უზარმაზარი შინაარსით“, — გვეუბნება გიორგი ტოვსტონოგოვი თავის წიგნში „რეჟისორის პროფესია“, რომელიც საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ შარშანწინ ქართულად გამოსცა.

მართლაც და, დიდი საფიქრალი უნდა გასჩენოდა რეჟისორს, რომელმაც ხსენებული ქრონიკის ორი ნაწილის (ათი მოქმედების!) ერთიან სპექტაკლში მოთავსება მოისურვა. ამ ძნელი ამოცანის გადაწყვეტას, პირადი გამბედაობის გარდა, რეჟისორმა მოახმარა პირველწყაროსადმი მოწიწების გრძნობით გაკეთებული ლიტერატურულ-სცენური კომპოზიცია (ვ. რეცეპტერი) და შემოქმედებითად მოხოლითური კოლექტივის ენერგია, აქტიური მცდელობა და სახელდობრ ევ. ლებედევის (ფოლსტაფი), ო. ბორისოვის (უფლისწული), ს. იურსკის (ჰენრი IV), ვ. სტრელჩიკის, ა. დიომინის, ნ. ტროფიმოვის, ბ. რიეუხინის, ო. ბასილაშვილის და სხვათა ოსტატობა.

გიორგი ტოვსტონოგოვის სპექტაკლებმა გამოვლენილ მიგნებათა ხასიათს კარგა ხანია იცნობს ჩვენი მაყურებელი. ჩვენს, საბჭოთა სცენაზე შექსპირის ამ ხელუხლებელი ქმნილების თეატრში გაცოცხლების ურთულეს ვითარებაშიც რეჟისორმა არ უღალატა საკუთარ თავს. სპექტაკლში უხვად არის გაბნეული აქტიორულ-რეჟისორული წვდომათა საინტერესო მაგალითები:

...ეამი იწურება.

ხალხი ახალი მეფის, ჰენრი V გამოჩენას ელოდება. აქ მოდის, ცხადია, მუდამ მხიარული და მუდამ მადაგახსნილი ფოლსტაფი. დღეს იგი განსაკუთრებული სიხარულით არის სავსე, ტახტის მემკვიდრე მის განუყრელ მეგობრად ითვლებოდა და აი ეხლაც ყოველივე ამის ნიშნად, ნახეთ ხალხო, თუ როგორ ჩაუკრავს თვალს ხუმარა ფოლსტაფი მის მიერ გამოზრდილ და დღეს უკვე მეფედ კურთხეულ უფლისწულს. აი დგება კიდეც საოცარი იმედგაცრუების უმწარესი წუთი. ხელისუფალი აღარ სცნობს გუშინდელ მეგობარს, გაიცლის წამიც და წესრიგს დამცველი ორი შუბოსანი გაფრთხილების ნიშნად გარიყულ ადამიანს ორივე მხრიდან ამოუდგება. მაგრამ საბოლოო სიტყვას ფოლსტაფი მაინც თავისთვის იტოვებს, ერთბამად ჩაეკიდება ორივე შუბის ტარს, ზედ დაკიდებული წამოიწევს და დიაყვირებს „ღმერთი ფარავდეს მეფე ჰენრის“. ჯამბაზური ილეთი, რომელსაც აქ ლებედევი მიმართავს, მრავლისმთქმელია და იმ კომენტარის მნიშვნელობას იძენს, რომელიც უადრესად სახიერი, თეატრალური, გროტესკული ფორმის საშუალებით ყველა ჯერის დექტორთა ბედის განწირულებაზე მიგვანიშნებს.

ილია ჭავჭავაძე ფოლსტაფს „დიდი შემოქმედებითი ძალით“ შექმნილ სახეებს მიაკუთვნებდა და ე. ლებედევიც აქტიორულ ენაზე სწორედ ამას გვიდასტურებს.

რეჟისორული გადაწყვეტის მთლიანობით გამორჩეულ სპექტაკლში მომხიბლავად ჟღერს ყარა ყარაევის მელოდიური სიმღერა. მაგრამ ალბათ განსხვავებული აკუსტიკური პირობების ბრალია დასარტყმელი ინსტრუმენტების ხმოვანების ინტენსიურობა.

გიორგი ტოვსტონოგოვმა და მისმა თეატრმა ამ სპექტაკლით შექსპიროლოგებს ქრონიკების მიგიწყებით გამოწვეული საყვედურის საბაბი წაართვა და შესწავლისათვის ახალი მასალა მიაწოდა. ულრმესი მადლობა ლენინგრადელებს, რომლებმაც პირველებმა გვაგრძნობინეს შექსპირის ჩვენში ხელუხლებელი ნაწარმოების უკვდავება.

მ. გიჟიმყრელი.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსზე

ტიბაანელთა საშემოდგომო საზრუნავი

ბ. არეანენკოს ფოტო.

გასტროლები და შთაბეჭდილებები

მეძლეოსნობა

პირველი მსოფლიო თასები

სამ დღეს გრძელდებოდა ... ელეთ გერმანიის ქალაქ დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ უმაღლესი კლასის ათლეტთა დაძაბული, უშეღავათო ასპარეზობანი მსოფლიოს პირველი თასებისათვის.

მოულოდნელი აღმოჩნდა მოსკოველი ნადეჟდა იაკუბოვიჩის წარმატება შუბის ტყორცნაში (62,02 მ.). მას მხოლოდ ოლიმპიურმა ჩემპიონმა რუთ ფუქსმა (გდრ) აჯობა და ისიც 34 სანტიმეტრით. ასევე მხოლოდ სახელგანთქმულ „ვარსკვლავებს“ დაუთმო ზაპოროჟიელმა ტატიანა პოლიტანსკამ — 200 მეტრზე რბენაში ფინიშთან პირველი მიეკარა პოლონელი ირინე შევინსკა (ევროპა) — 22,72 წამი მეორე — ოლიმპიური ჩემპიონი ბარბელ უკერტი (გდრ) — 23,02 წამი. პოროროჩენკოს დრო — 23,26 წამი მესამეა. და ყველაზე სასიხარულო იყო ოლიმპიური ჩემპიონის — ლენინგრადელი ტატიანა კაზანკინას გამარჯვება 1.500 მეტრზე — 4.12,7. სიმაღლეზე ხტომაში ტოლი არ ჰყავდა მსოფლიო რეკორდსმენს როზემარი აკერმანს (გდრ) — 198 სმ. იგი თავისი უმაღლესი მიღწევის განახლებასაც შეეცადა (201), მაგრამ ამაოდ.

კვლავ ყველაზე შორს ტყორცნა ბადრო ფაინა ველევა მელნიკმა— 68 მეტრი და 10 სანტიმეტრი. სარბენ ბილიკზე მეორე ოქროს მედალი დაიმსახურა ეთიოპიელმა მირეუს იფტერმა. მისი შედეგი 5 ათას მეტრზე რბენაში — 13.13,8 — სულ რაღაც ცხრა მეათედი წამით ჩამორჩება მსოფლიო რეკორდს. 230 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაეცალა როლფ ბილშიდტი (გდრ). მსოფლიოს ექსრეკორდსმენმა დუაიტ სთოუნსმა (აშშ) ეს სიმაღლე ვერ დაძლია. სენსაციურად დამთავრდა სიგრძეზე ხტომა ქალთა შორის. გაიმარჯვა ავსტრალიელმა ლინეტ იაცენკომ (661 სმ), ვიორიმილოვგრადელი ტატიანა სკაჩკო მესამე ადგილს დასჯერდა (648 სმ). მეორე ოქროს მედლით ბრუნდება შინ კუბელი ალბერტო ხუანტორენა — ბოლო დღეს მან გაიმარჯვა 400 მეტრზე რბენაშიც — 45,36.

ადგილები ასე განაწილდა: ქალები — ევროპა — 107 ქულა, გდრ — 102, სსრ კავშირი — 89, აშშ — 59, ამერიკა — 55, ოკეანია — 45, აფრიკა — 31, აზია — 29 ქულა; ვაჟები — გდრ — 127 ქულა, აშშ — 120, გფრ — 112, ევროპა — 111, ამერიკა — 92, აფრიკა — 78, ოკეანია — 48, აზია — 44 ქულა.

ჭადრაკი

საერთაშორისო ტურნირი ბულგარეთში

12 სექტემბერს პრიმორსკოში (ბულგარეთი) იწყება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი 14 დიდოსტატისა და ოსტატის მონაწილეობით. მასში ჩაებმება თბილისელი საერთაშორისო ოსტატი თ. გიორგაძე, ეს ახალგაზრდა თბილისელისთვის წლეულს მეორე საერთაშორისო ტურნირი იქნება. ზაფხულში მას დეჩინში (ჩეხოსლოვაკია) მხოლოდ ნახევარი ქულა დააკლდა დიდოსტატის ბალის ნორმამდე.

ჩიგორინის მემორიალი

სოჭში გრძელდება მიხეილ ჩიგორინის მემორიალი. 4 ტურის შემდეგ 3 ქულით პირველ ადგილზეა მსოფლიოს ექსჩემპიონი ტალი (რიგა). ორნახევარი ქულა აქვთ დიდოსტატებს სუეტინს (მოსკოვის ოლქი), კროგიუსს (სარატოვი) და ადორიანს (უნგრეთი).

ფეხბურთი

მეორე ლიგაში

ბათუმის „დინამო“ დამარცხდა ერევანში სკიფთან — 0:1, ზუგდიდისა — ნახევრებში „არაზთან“ — 0:2. დანარჩენები საკუთარ მოედანზე თამაშობდნენ და გაიმარჯვეს — სოხუმის „დინამო“-ტოლიატის „ტორპედო“ — 2:1, სამტრედიის „ლოკომოტივი“-უფის „გასტელო“ — 2:1, ლანჩხუთის „გურია“-ნაბერეჟნოე ჩელნის „ტურბინა“ — 4:3, გორის „დილა“-ბაქოს „ავტომობილისტი“ — 2:0.

ველოსიპორტი

მერვე „ოქრო“

ხარკოვის ტრეკზე საბჭოთა კავშირში მერვედ მოიპოვა უძლიერესის სახელი სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ომსკელმა ედუარდ რაამმა. იგი ისევე, როგორც სსრ კავშირის თასის გათამაშებისა და ქვეყნის ჩემპიონატის პირველ ტურში, ახლაც ყველაზე სწრაფი იყო 1.000 მეტრზე ადგილდან გეტში — 1.08,77 (პირველ ტურში ამავე ტრეკზე ივლისში მან უჩვენა 1.07,79). სიბოლოო ჯამი — 2.16,56. ვერცხლის მედალი ხვდა ამხანაგებს ვ. კუდრიაშოვს, ბრინჯაოსი — მოსკოველ ალექსანდრე კოლგანოვს.

სპრინტში ყველას აჯობა და თასი მოიპოვა ტულელმა ვიქტორ კოპილოვმა, რომელმაც ფინალში სძლია რიგელ გუნტის მეეზოს და კიეველ ანატოლი ონიშჩენკოს. მათ შესაბამისად მეორე-მეოთხე სამე ადგილები დაიკავეს.

მოკლედ

საწყლო-სათხილამურო სპორტი. მინსკში სპორტკლუბ „ოლიმპიას“ ბაზაზე გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედლები დაიმსახურეს მასპინძლებმა — ინესა პოტესმა და სერგეი ნოზოკინმა, რომლებმაც შესაბამისად 5.475 და 2.892 ქულა დაგროვეს. ისინი საუკეთესონი იყვნენ ცალკეულ სახეობებშიც — გაიმარჯვეს ტრამპლინიდან თხელამურებით ხტომაში, ხოლო ნოზოკინი ფიგურულ სრიალშიც პირველობდა. სლალომში თავი ისახელეს მოსკოველებმა ეკატერინე მატიუხინამ და ანატოლი რადუშინსკიმ. დუბნელი მარინა ჩერესოვა პირველი იყო ფიგურულ სრიალში.

სხსანძრო-გამოყენებითი სპორტი. საბჭოთა კავშირის პირველობას სპორტის ამ საინტერესო სეზონში როსტოვი მასპინძლობდა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა, მეორეზეა შეიარაღებულ ძალთა ნაკრები, მესამეზე — საყოფლო საზოგადოება „ვარპა“ (ლატვია). დამყარებულ იქნა ორი საკავშირო რეკორდიც. მინსკელმა ვ. ნებილოვმა ორჭიდში უჩვენა 30,5 წამი, უფელმა ვ. სმირნოვმა და ნ. სირაკვამ კი მოძრავი სამლიანდაგიანი კიბით მესამე სართულზე ასვლას 12,3 წამი მოანდომეს.

ნიჩბოსნობა. დნეპროპეტროვსკში მოეწყო ქვეყნის ჩემპიონატი ექვსნიჩბიანი საზღვაო ნავებით. ორკილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად 11 წუთსა და 10,6 წამში დაფარა უკრაინის გუნდმა, რომლის ეკიპაჟი სევასტოპოლელი მეზღვაურებით იყო დაკომპლექტებული. ნავს წონა ეკიპაჟიანად 1,3-1,4 ტონას შეადგენდა, მეზოფეები 3,5 მეტრზე გრძელ ნიჩბებს იყენებდნენ.

თანამედროვე ხუთჭიდი. პოლოლეთის ქალაქ ზელენგურაში გაიმართა ქვეყნის ღია ჩემპიონატი. და კვლავ ტოლი არ ჰყავდა ოლიმპიურ ჩემპიონს ანუშ პეციაკს. მისი შედეგი 5.544 ქულა(!) მეტად მნიშვნელოვანი მიღწევაა.

აფრანსნობა. ათენი. გაიმართა ევროპის ჩემპიონატის ბოლო, მეშვიდე რბოლა „სოლინგის“ კლასში. მონაწილეთა თითქმის ნახევარმა — 22-მა იახტსმენმა ვერ დაამთავრა შეჯიბრება, მათ შორის იყო მოსკოველი ბორის ბუდნიკოვი. საერთო ჯამში იგი მეხუთე ადგილზე გამოვიდა. გაიმარჯვა ფრიც ჰაისმა (გფრ) — 40,7 საჯარიმო ქულა. ბუდნიკოვს 68,0 საჯარიმო ქულა ჰქონდა.

ძალოსნობა. ხანგრძლივი შეხვედრების შემდეგ ფიცარნაგს კვლავ დაუბრუნდა სახელგანთქმული საბჭოთა სპორტსმენი ვასილი ალექსეევი და მერე რა გოო! — ერთბამად ორი მსოფლიო რეკორდით — ორჭიდში მან 445 კილოგრამი (190+255) დაგროვა და 2,5 კილოგრამით გაუმჯობესა ჭრისტო პლაჩკოვის (ბულგარეთი) მიღწევა, ხოლო დამატებითი ცდით 255,5 კილოგრამიანი შტანგა აჭარა. ვ. ალექსეევი ახლა 160 კილოგრამზე მეტს იწონის.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ჩვენი კონსულტაცია

ეზრუნველობა სოფლის მასწავლებელს

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ დიდ ყურადღებას უთმობს სოფლად მომუშავე მასწავლებლების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას, იგი თვალსაჩინო შეღავათებს აძლევს მათ. ამის შესახებ ფართოდ ამსჯელა საქართველოს სსრ მასწავლებელთა მეოთხე ყრილობამაც.

ზრუნვა კი დიდია: დამატებითი შეღავათებია სამეურნეო მოწყობისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის, კრედიტი ახალგაზრდა მასწავლებლებს — სამეურნეო მოწყობისათვის 1000 მანეთამდე, სოფლის სკოლების მასწავლებლებს და სხვა მუშაკებს საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად — 2000 მანეთამდე; კვების პროდუქტები სახელმწიფო საცალო ფასად; ინდივიდუალური ავტომანქანებისა და მოტოციკლების პირველ რიგში შეძენის უფლება და მრავალი სხვა.

სკოლის საქმიანობა მასწავლებლის კარგ მუშაობაზეა დამოკიდებული, ხოლო ეს უკანასკნელი, ცხადია, მასწავლებლის საყოფაცხოვრებო პირობებზეც.

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით სოფლის მასწავლებელს უფასოდ ეძლევა ბინა (ათბობითა და განათებით). უფასო კომუნალური მომსახურებით სარგებლობენ სოფლის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საღამოს სკოლების მასწავლებლები, დირექტორები, გამგეები, დირექტორის მოადგილეები, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორები, სამხედრო ხელმძღვანელები, სკოლა-ინტერნატებისა და გახანგრძლივებული სკოლებისა და ჯგუფების აღმზრდელები, სკოლებისა და საბავშვო სახლების უფროსი პედიატრიულმძღვანელები, ყველა სოფლის სკოლის, მათ შორის, საღამოს (ცვლის) ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების დუსწრებელ განყოფილებათა გამგეები.

ამ სკოლების მასწავლებლებსა და სხვა მუშაკებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები აძლევენ უფასოდ ბინებს გათბობითა და განათებით, დამტკიცებული ნორმების შესაბამისად.

ამ შეღავათით არ სარგებლობენ დროებით მომუშავე მასწავლებლები და აგრეთვე ის პირები, რომლებიც ძირითადად სხვა დაწესებულებაში, საწარმოსა ან ორგანიზაციაში მუშაობენ, ხოლო სკოლაში პედაგოგიურ მუშაობას შეთავსებით ეწევიან.

ამ შემთხვევაში, როდესაც, საბინაო ფონდის უქონლობის გამო, არ არის იმის შესაძლებლობა, რომ მასწავლებელს მეეცეს საცხოვრებელი ბინა, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომი ვალდებულია მას და მისი ოჯახის წევრებს შესაფერისი ბინა დაუქირაოს, ბინის პატრონს დაუდოს ხელშეკრულება და უშუალოდ აღმასკომმა გადაუხადოს მას ბინის ფაქტიური ღირებულება.

თუ ოჯახში რამდენიმე მასწავლებელია, მაშინ უფასო კომუნალური მომსახურებით მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი სარგებლობს. მაგალითად, ოჯახში ორი მასწავლებელია, ორივე ერთსა და იმავე დასახლებულ პუნქტში მუშაობს, მაგრამ ერთი — დაწყებითში, ხოლო მეორე — სამუშაო სკოლაში. მათი ბინა, გათბობითა და განათებით, დაქირავებული აქვს სამუშაო სკოლას, ამ შემთხვევაში მასწავლებლის კომუნალური მომსახურებისათვის ხარჯებს დაწყებითი სკოლა არ ეწევა.

თუ მასწავლებელი ცხოვრობს საკუთარ სახლში (ეოლის ან ქმრის სახლში) ბინის დაქირავებისათვის მას თანხა არ ეძლევა, მაგრამ მას უფლება აქვს მოითხოვოს უფასო განათება და გათბობა მისთვის შეშის (ნახშირის) ბინაზე მიზიდვით.

მასწავლებლებს, რომლებიც სოფელ აგდილას მუშაობენ, მაგრამ ცხოვრობენ ახლო მდებარე ქალაქში, უფლება აქვთ სამუშაო ადგილზე მოითხოვონ უფასო კომუნალური მომსახურება. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ადგილობრივი სასოფლო საბჭოების აღმასკომები ვერ უზრუნველყოფენ მათ სამუშაო ადგილის მიხედვით საცხოვრებელი ბინით ან მასწავლებელმა უარი განაცხადა სამუშაო ადგილის მიხედვით საცხოვრებელ ფართობზე, მაშინ ის კარგავს უფლებას ქალაქში ბინის ქირის ანაზღაურებაზე, მაგრამ ინარჩუნებს უფლებას უფასო გათბობისა და განათებაზე ქალაქში.

პენსიაზე გასულ სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო ყველა ტიპის სკოლის პედაგოგიურ პერსონალს და მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს უფლება აქვთ აგრეთვე უფასო ბინაზე (ფართობისა სიდიდის მიუხედავად), გათბობასა და განათებაზე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი ცხოვრობენ ახლომდებარე ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში, თუ პენსიაზე გასვლის დროისათვის ამ შეღავათებით სარგებლობდნენ.

პენსიაზე გასულ მასწავლებლებს, აღმზრდელებს, დირექტორებს, მათ მოადგილეებს და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა ტიპის სხვა პედაგოგიურ მუშაკებს და მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს უნარჩუნდებათ ბინით, გათბობითა და განათებით უფასოდ სარგებლობის უფლება თუ აღნიშნული მუშაკების სოფლის სკოლაში მუშაობის სტაჟი შეადგენს არა უმცირეს 10 წლისა, მიუხედავად იმისა, თუ როდის და რა სახის პენსიაზე არიან ისინი გადასული.

პენსიონერი მასწავლებელი, რომელსაც სოფლად მუშაობის 10 წელზე მეტი სტაჟი აქვს, უფასო კომუნალური მომსახურების უფლებას არ კარგავს იმ შემთხვევაშიც, თუ შემდგომ ის არაპედაგოგიურ ასპარეზზე გაგრძელებს მუშაობას (სამეო ნაწილის გამგედ, ბიბლიოთეკარად და სხვ.).

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში გაწვეულ მასწავლებლებსა და განათლების სხვა მუშაკებს, აგრეთვე მათი ოჯახის წევრებს, უნარჩუნდებათ უფასოდ ბინა გათბობა-განათებით, თუ ისინი ჯარში გაწვევის მომენტისათვის სარგებლობდნენ ამ უფლებით.

საგულისხმოა, რომ სოფლად მომუშავე მასწავლებლები დაუსრულებლად საყვედურობენ იმაზე, რომ ბევრგან, იმის ნაცვლად, რომ ბინა, გათბობა და განათება მისცენ ნატურით, უხდიან ფულად კომპენსაციას, მაგრამ იმ ოდენობით, რაც ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფს მასწავლებლის მიერ კომუნალური მომსახურებისათვის ფაქტიურად გაწეულ ხარჯებს. ზოგან ამასაც კი არ აძლევენ, რაც ხელს უშლის მასწავლებელთა კადრების დამაგრებას სოფლად.

სადირექტივო ორგანოების დადგენილებით ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანოს დაგალებული აქვს უფროდღეთით გაანიხილოს სოფლის სკოლების მასწავლებელთა საჭიროებები და მოთხოვნები, მკაცრი კონტროლი გაეწიოს სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებსა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთათვის კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებისა და უპირატესობების დაცვას.

ამ დავალების განუხრელად შესრულება უზრუნველყოფს სოფლის სკოლის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, ადგილებზე მასწავლებელთა კადრების დამაგრებას, სოფლის სკოლაში სწავლის ხარისხის ამაღლებას, პედაგოგიურ კოლექტივებში სოციალისტური დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას, რაც საქართველოს მასწავლებელთა მეოთხე ყრილობამ მოითხოვა.

ვ. კეშელავა,

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი იურისკონსულტი.

ვაჟკაცობა, კეთილშობილება მადლობა მეომარს

პრაპორშჩიკი ვალერი მიხადიუკი მივლინებიდან ბრუნდებოდა. კუპეში ქალი ჩიოდა, მარჯვენა გვერდში ძლიერი, მწყავე ტკივილები მაქვსო და სულ უფრო ცუდად ხდებოდა.

მატარებელი თბილისის ვაგზალს მიუახლოვდა. პრაპორშჩიკი მიხადიუკი სწრაფად ჩამოხტა ვაგონის კიბიდან და ტაქსის გაჩერებასთან მიირბინა. მალე მას უკვე ქალი ეუსმენდა საავადმყოფოში მიჰყავდა.

გზაში ქალმა გონება დაკარგა. ასეთ მძიმე მდგომარეობაში ჩაბარა ვალერიმ ავადმყოფი ექიმებს. მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს.

ახლახან ნაწილის მეთაურმა მიიღო სამადლობელი წერილი ქალაქ ტერნოპოლიდან. მარიამ ნიკოლოზის ასული ფედირკო — ქალაქის ერთ-ერთი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი გულითად მადლობას უძღვნიდა პრაპორშჩიკ მიხადიუკს გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის. (ხაჭინფორმი).

...ზეგეო თიბათვის“

ასმ ეწოდება ლიტერატურულ-მუსიკალურ კომპოზიციას, რომელიც ამ დღეებში დუშეთ მაყურებელს წარუდგინა საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა, მხატვრული კითხვის ოსტატმა თათია ხაინდრავამ.

მსახიობმა წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“, ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის“, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ ნაწყვეტები, გალაკტიონის ლექსები, სცენაზე გააცოცხლა ვაჟა-ფშაველას „ია“ და „ქუჩი“.

ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციის რეჟისორია რ. სტურუა, მხატვარი — მ. შველიძე, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს გ. ყანჩელს.

კონცერტის მთელი შემოსავალი მსახიობის თხოვნით მშვიდობის ფონდში ჩაირიცხა. (სპპ. კრ.).

„ეზეო თიბათვის“

...ეზეო ...ეზეო ...ეზეო